

**რედაქცია**  
 ვაჟა-ფშაველას პრინციპალური რედაქცია  
 ქუთაისში, ადრიატიკის ქუჩის 14-ე კმ-ზე.  
**ხელის-მომწერა**  
 ქუთაისში, ადრიატიკის ქუჩის 14-ე კმ-ზე.  
 თბილისში, ადრიატიკის ქუჩის 14-ე კმ-ზე.  
 ვ. რედაქცია „Дრობა“—„Иверია“.  
**„დროება“-„ივერიის“ ფასი**  
 წელიწადში 6 თვეს 3 თვეს  
 დროება და ივერია ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.  
 დროება . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.  
 ივერია . . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**  
 დღი მხოლოდ ასობით და მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში.  
 თუ განცხადება მოითხოვს რედაქცია განსწავლავს და შეამოწმებს დასაბუთებად გამოგზავნილ წერილებს. დასუბუქებულ წერილს რედაქცია უფლებია ვერ დაუბრუნებს.  
 განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზე.  
 ქუთაისში განცხადება მიიღება „ადრიატიკის“ რედაქციაში.  
 ცალკე ნომერი „დროების“ ღირს ნახვ.

**ს ა ვ ა ზ რ ო ს ა ხ ლ ი**

## „ქმათა კ. და ს. პავლოვისა“

მოსკოვში

ბანტორა იმყოფება ტუზნეცის ხილვებში, პ. ს. პავლოვის სახლებში. პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მალაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

- ხარკოვში—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
- თბილისში—ბალაიხის პროსპექტზე, მირიანოვის სახლებში.
- სეპასტოპოლში—ბალაიხის მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის პოგენის სახლში.

როგორც ამ მალაზიებში, აგრეთვე კაბარბურში, ვარშავაში და კიევიში ჩვენ მალაზიებში, ჩიი აწონილია გირვანქებთა, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებთა და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მალაზიიდან, რომელიც იმყოფება მოსკოვში პრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—1)

**იკავრატრიცის მარია თეოდორ-დროკონას აღმასწავლებლის გამომშვადი ნომერი გამომავა პარასკევს, 24 ივლისს.**

## ტელეგრაფები

(რედაქციის ტელეგრაფის საგანგებო)

კაბარბურში 18 ივლისს. მმართველთა მხარეში დაბეჭდილია შედეგი ტელეგრაფის შინაგან საქმეთა მინისტრის იგნატევისა 17 ივლისადამ: „სელმწიფე იმპერატორი და უზგუსტოვსა იგნატევისა მობრძანდა დღეს დღით მოსკოვში. აღტაცებით მიიღეს. მათი ი. დ. ბრძანდებოდნენ სობორში და მცხვანის ეპისკოპოსში. მოსკოვის ქალაქის თავისაგან მიიღეს ზურ-მარალი და ბრძანა: მის შემდეგ, რაც ჩვენ თავს მოკვლიან შემამძწუნებელი შემთხვევა, რომელმაც ძრეულ შეაწუხა ჩემი იგნატევისა და მთელი რუსეთი, მე ბედნიერად ვარ, რომ ესაგან ვასრულებ ჩემი გულის

წადის—უშუალოდ ვინაველ სტატისტიკის ნახვის სურვილს. გულისადა მადლობას გიძღვნი აგრე გულ-გმთელი მიღებასთვის, რომლითაც შედეგებთ მე, იმპერატორისა და მთელ იგნატევისა. ნეტარ-სხუებულ მამას ანა ერთხელ გამოუცხადებია მადლობა მოსკოვისთვის მისი ერთგულებისათვის. მოსკოვი მუდამ ყოფილან მთელი რუსეთისთვის მცხვანით. იმედი მაქვს შემდეგშია, რაც იგნატევისა დღეს მოსკოვი ამტკიცებს თავის ერთგულებას სწინად დაამტკიცებს, რომ სელმწიფე და ხალხი შეადგენს ერთს განუყოფელს, განუშორებელს და მანგანს ვაგშინს.

მოსკოვი, 19 ივლისს. სელმწიფე იმპერატორმა და იმპერატრიცამ ვმწავილებით ინახულეს დღეს სერგიევის ღაზრა. მიტროპოლიტმა აკურთხა ისინი ოქროთ მოვანაყებულ ხატებით. ხალხი დიდის აღტაცებით ეგებება ყოველგან.

**ახალი ამბები.**

ჩვენმა მკითხველებმა იციან, თუ რა ალიაქოთი შედგა შესახებ ტულაშის ნორმალური სასწავლებლისა. ტულაშის საზოგადოება, როგორც თავად ახნაურობა, აგრეთვე გლენობა, ვაიყო ორ მოპირ-დაპირე ბანაკთა და თითქმის ორი წელიწადია, რაც მათ შორის იყო ბრძოლა და განხეთქილება შესახებ ადგილის აღმორჩევისა. სახალხო სკოლების დირექტორმა ვერა გარიგა-რა; საქმე მღებრნალორამდი მიიღწია. ორივე მხრიდან სამი, ოთხი დებუტაცია გამოცხადდა ბ-ნ ლუბერნატორს და თავის აზრი განუცხადა ამ საქმის შესახებ. მანხეთქილებამ იქამდი მიიწია, რომ სამიში იყო რამე უწყსოება არ მომხდარიყო.

ახლა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ლუბერნატორს ვაუგზანია მზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი პ. ალშიბაია, რომელსაც ეს მოპირ-დაპირე პარტიები დაუმწიფებია, საშუალო ადგილი ამოუჩეცია გზა-ტყეცილის პირად, გაშლილ ადგილზე, და ყოველივე რიგინად შეუსრულებია, ასე რომ ტულაშის საზოგადოებას აწი, ვგონებთ, მინიჭებული ბედნიერება არ დაეკარგოს. აქამდი ისე იყო საქმე, რომ ადგილი შესაძლებელი იყო ნორმალური სკოლა სხვა ადგილს გადაეტანათ.

ჩვენის მხრით მადლობა ეკადრება ბ-ნ ალშიბაიას, რომელიც, ყოველ ამ გვარ საქმეებში, დაუფასებელი კაცია. მადლობა ეკუთვნის აგრეთვე მიროვოი პოსრედნიკს ბ-ნ მ. ლორთ-

ქიფანიძეს, რომელსაც ამ საქმისთვის თავის შრომაც დაუძენია.

მეჯვრასხვეიდან გვწერენ, რომ იქ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა, რომელსაც საუცხოოდ ჩაუვლია. შთამაშინათ ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ, რომლის მასწავლებლისათვის უკვე გარდაუციათ, ხარჯს გარდა, შემოსული ფული 31 მან. 42 კაპ.

ჩვენ გეტყობინებენ, უკანასკნელ წვიმების გამო, შოთი-თბილისის რკინის გზაზე, მარლისის და ბელაგორის შუა, ჩამოწოლილია ზევი, რის გამო მატარებლების დანიშნულ დროზედ მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია რამდენიმე ხნით; მოგზაურები ერთი მატარებელიდან მეორეზედ გადადიოდნენ. როგორც გვაცნობეს, რკინის გზის მმართველობას მიუღია ყოველ გვარი ღონის-ძიება გზის გასაწმენდათ.

შორის მზრიდამ გვაცნობებენ, რომ ბ. ალექსანდრე ნათიევის და მის. ტატიშვილს გამოუგონიათ საფეხები ორ გვარი მაშინა, რომლითაც შეიძლება წისქვილის დატრიალება: ერთი ერთ-თვლიანისა და მეორე ორ-თვლიანის წისქვილისა.

როგორც გვარწმუნებენ ამ მაშინების შემოღება ძრიელ შეღავათს მისცემს მუშა ხალხს, რადგანაც ეს მაშინა ხოლო ერთი კაცით მოქმედობს, უწყლოთ და უქართაცო.

ჩვენ მკითხველებს უთუოდ ემახსოვნება ამას წინეთ დაბეჭდილი კორესპონდენცია შორის მზრიდამვე-

„დროების“ ფელტონი, 22 ივლისს.


**ნატყრა**  
 (გუშდგნი აკაიის.)  
 მინდა, რომ იყოს მუდამ ზაფხული, მსტებოდეთ, ძმაო, სიამოვნითა.  
 მწვანით შეღებილს ველზედ გავშლიდეთ სუფრას ქართულის ჩვეულებითა.  
 ბალობა გიძღვნი, ძება მოგიძღვნი, ბეირგვინი დავსწნათ ქვეილებისა;  
 მისი ვამკობდეთ,

მის ვაქებდეთ, მინც ღირსი იყოს მრთგულებისა.  
 ანგელოზურთა ზეციურ ხმათა ქურნი ვაგიკრთონ სიამოვნითა,  
 აკელუცთა დანნი, ასი ათასნი, მზას მოგიფენდენ ქვეილებითა.  
 ბულ კეთილობა, შრთი ერთობა შეყლგან გხვდებოდეს ნამდვილებითა,  
 მის კაფითი, ხმა იშვიითი

სხადათ გესმოდეს, არ ოცნებითა.  
 ჩვენ ძმათ და შეილებს ვრფელთ, არ გულ-გრილებს, მსჭვრეტდეთ ბედნიერთ მყულროებითა,  
 მ ნიადაგზედ საძირკველს სდგამდენ ძველ მამა-პაპათ ჩვეულებითა.  
 მინდა ეს ნატყრა რომ ამისრულდეს, ბულ-მოსვენებით მიც ვიყო მარად,  
 აღორძინებულს სამშობლო მამულს

მზე დანათოდეს მარად და მარად.  
 კნ. ნინო ორბელიანისა.  
 18 ივლისს.  
**საზაფხულო ფელტონი**  
 დაღვა ზაფხულის სიცხეები და გალაგდა ხალხი თბილისიდან. შიმისოდაც ღარიბ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც მეტის ძალით იჩენს თავს ყოველგან მთავარ ქალაქში, დაეღო უძლურების და უშინაარსობის ფერი. მითქო შესწყდა, თითქო შეჩერდა ცხოვრების ძარღვის ცემაო. იგი გადატანილია ეხლა სოფლად და აგარაკებად, სადაც თავი აქვს მოკრეფილი საგრძობად და საზაფხულოდ ესრედ წოდებულს მუშაკ და მოღვაწე ინტელიგენციას ახალი ძალღონის შესაკრებად. მაჭრობა და სხვა-





რომლითაც გვაქონებდნენ, რომ ამავე პირებს კალოს მაშინები გამოუგონიათ.

შრიგო არ იქნება ჩვენმა ტენიკურმა საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ამ მაშინებს და გამოამქლავნოს საზოგადოთ თუ რამდენათ სასარგებლო იქნება მათი შემოღება.

\* \*

მუშინწინ, ღამის პირველ საათზედ, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, რესტორან „შვიცარიასში“ მოხდა შემდეგი ამბავი:

რამდენიმე ყმაწვილი კაცები, სხვათა შორის მ. შ.—ზოგი, ერთად საუბრობდნენ. ამათ მიწვეული ჰყოლიათ ერთი ამავე რესტორანში მომღერალი ქალთაგანი. ზამოსარჩლებია ამათ ერთი ბაჰუსის თაყვანის მცემელი კაცი, როგორც ამბობენ, რკინის გზის მშენებლის სადგომის კასირი და დაუწყია უწყსო სიტყვების ხმარება და ხელით პოტინი ბ. შ.—თვის. ამ უკანასკნელს რამდენიმეჯერ გაფურთხილა პირველი—თავი დაენებებინა და როდესაც მის უწყსო სიტყვებს და მოკმედებას ბოლო აღარა მოელო, მ. შ.—ზოგს სილა გაურტყამს. მს მოტრიალებულა და, რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ მოსულა, მაგრამ სრულებით სხვა განზრახვით... ამოუღია რევოლვერი და იქვე ორჯერ დაუტლია... მართი სროლა მ. შ.—ზოგს მოხვედრია მარცხენა ხელში. შრილობა დიდი არ არისო, როგორც გვითხრეს დამსწრეთ.

ღამნაშავე იქვე დაატუსაღეს და პოლიციაში გაგზავნეს.

საჭიროა, ამ რესტორანის პატრონმა ყურადღება მიაქციოს და მთვრალ სტუმრებზე, თუ სულ არ აღუკრძალავს სიარულს, სხვა რიგი ყურადღება იქნაიოს, როგორც წესიერების, ისე სხვების მშვიდობის დასაცველად.

„დროების“ კორექსორდენცია.

ზამო-იმიერთი, 5 ივლისს. ამას წინეთ ვგონებ „დროებაში“ წაეკითხე, თუ ისრე გაევიგონე არც კი მახ-

და სხვა დაწესებულებათა მოკმედება მისუსტდა და ძლიერდა ღოღილობს, თითქო დამდგარი კამეჩი იცოხნება სიციხით ვაჯერებულო.

არამც თუ ჩვენში, მთელ რუსეთში ადვილი შესაძინებია იგივე მოვლენა. მთელი რუსეთის ხელმწიფებითი მებანინში თითქო შეჩერებულაო, ისრედ მოკმედობს. ათას გვარ მწვავე საგნების გასარკვევად შემდგარი ათასგვარი კამისიები, რომელთა ნამდვილი მოკმედება, თუ იგი მოსალოდნელია საზოგადოთ კამისიებისაგან, უნდა დაიწყოს შემოდგომიდან.

რუსეთის ყურნალ-გაზეთობასაც დაეტყო საზოგადო უფერულობის დალი, მეტადრე მომსხო ყურნალები შეიცავენ, მომეტებულ ნაწილად, გრძელ მოთხრობა-რომანებს, რომელნიც ნამდვილ საზაფხულო საკითხავად არიან დაწერილნი. ხოლო

სოგს, რომ ბლალოჩინების კენჭით არჩევა მოისპოო და როგორც სხვა და სხვა გაზეთები სწერს, ამ კენჭის მოსპობას ცუდი გავლენა უნდა ექმნეს ეკლესიებზედ და სამღვდლოებზედაო! მართალაც, ერთმა ნახულმა და გაგონილმა გარემოებამ, როგორც ქვევით დაუკვირდებით, დაგვარწმუნა ამ გვარ მოსაზრების ჭეშმარიტებაში.

ამ ივლისის პირველ რიცხვებში, ბევრ საბლალოჩინოში, იმერეთში ყრილობა იყო სამღვდლოებისა, იმპერატორის პლექსანდრე მესამის, ერთგულეებაზედ ფიცის მისაცემათ და სხვათა შორის ბევრი სხვა საგნებიც აღიძრა; მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა საგანმა უფრო მიიქცია. ბლალოჩინებმა თურმე წარმოსთქვეს სამღვდლოებაში: თქვენს ზოგიერთსაქმეს ღვთაობის ბევრს ვფარადით, რადგანაც თქვენ ხელში ვიყავით და გვეშინოდაო, ღვთის შემდეგ კი ერთი რამელიმე თქვენი შეცდომილება—ჩვენგან შეუძლებელია დაფარვაო..

ღიაკენებს ბრძანება მისცა ჩვენს ახლოს იდექითო, რომ საჭიროების დროს შეიძლებაღეს თქვენი გაგზავნა-გამოგზავნა.

ამ შემთხვევით უკმაყოფილება დაიწერება ბლალოჩინებსა, მღვდლებს და მათი მედავითნებს შორის, ერთი გაუწყვეტელი საჩივარი, ჩხუბი და უკმაყოფილება ატყდება ამათ შორის, რის გამოც ეკლესიებსაც დიდი ვნება მიეცემა.

იმერეთის ძველი თაობის, და, ვგონებ მთელ საქართველოშიაც, ზოგიერთ სოფელში, ქართულ ენაზედ ნასწავლ მღვდლებს მოსთხოვეს ის ცოდნა, რომელნიც ეთხოვება საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში კურს დასრულებულ მღვდლებს. ძრიელ საეჭვოა, რომ ჩვენმა ზოგიერთმა ძველმა ნასწავლმა მღვდლებმა დაუკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება, რის შემდეგი იქნება მუდამ—ამათი დათხოვნა მრევლიდამ.

4 ივლისს იმისთანა წვიმა იყო ძუთ. და შორაპ. მაზრებში, რომ დი-

სატახტო ქალაქის პეტერბურღის გაზეთობა ძალიანობს და რაც შეიძლება ფხიზლობს. „დაწყვილილი საგნები“, როგორც ეძახიან რუსების მწერალნი ამ უკანასკნელს დროს ცხოვრების სიღრმიდამ აღმოზიდულს საშინელს საგნებს, არ აძლევენ მას განსვენების ნებას. მაგრამ ძალიან ძლიერა აქაც თავისას არ იშლის, ჩვეულება რჯულზედ უმტკიცესიაო, იტყვიან; ინერციას თავისი გააქვს, საზოგადოება, რომლის ხელშიაც „დაწყვილილი საგნების“ გამოკვლევა, ძრიელ მოყვარულია ერთხელ-შეჩვეულს წესზედ ცხოვრებას და სიტკობებს და რამდენი დღეც მიდის საუკეთესო გაზეთებიც კოჭლობენ, უფერულობა ემატებათ.

X

მაგრამ ჩუ!... ჩვენ მოყვებულს ქალაქში უცაღ მოიღრუბლა მოწმენ-

ლიდგან დაწყებული ნაშუადღევს 2 საათამდის არ გადაუღია: მდინ. ძვერული, ბუჯა და ძუსა, ისთე აღიღნენ, როგორც იტყვიან ამერეთში „ფრინველს არ შეეძლო ზედ გადაფრენაო“; ეს სამი მიდინარე საჩხერიდამ დაწყებული დიდ სასოფლო გზაში შეგზვდებათ, დ. ჩხარში გაივლის და მიდის მუთაისისაკენ.

მე მივდიოდი ზემო-იმერეთისაკენ, კინალამ დამარჩო ძვერულმა, რომელზედაც ხიდის გაკეთებას დიდი ხანია ლაპარაკობენ და ღვთაობის არა ეშველა რა, გაოხრებული არის ის მინ არის პატრონი? მზებისა და ხილბოგირების გამკეთებელი ვინ არის? შორაპნის მაზრიდამ ამას წინეთ გაზეთში იყო ამის შესახებ კორექსორდენცია, მაგრამ ვინ არის გამგონი და ამსრულებელი!?.

ბ. — ი.

უცხოეთი

ინგლისი მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ შვეიცარიის მმართველობამ ნება არ დართო შეკრებილიყო ხალხთა-შორისი კონგრესი სოციალისტებისა. სოციალისტებმა ამის შემდეგ გადასწყვიტეს მოეხდინათ კრება ლონდონში.

მეროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა შორის გაცხარებული მიწერ-მოწერა ატყდა იმის თაობაზედ, რომ ერთობრივი ნოტა შეედგინათ და წარედგინათ ინგლისისათვის, რათა მას აღეკრძალა ხსენებული კრება სოციალისტობისათვის სატახტო ქალაქში, რადგანაც ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მეროპისა ისეთიაო, რომ არ ივარგებს იმათი საჯაროდ შეკრებაო.

მაგრამ, უკანასკნელად მოსული ამბებიდამ, ეტყობულობთ, რომ კრება უკვე მოხდა, ხოლო მისი გარდაწყვეტილებანი სრულად არ არის საქვეყნოდ გამოცხადებული და გამოაშკარავებული.

პრებაზედ დასწრებია ყველა შესანიშნავი სახელმწიფოთა წარმომადგე-

ლილი, მომღიმარე ცა, რომელიც ალაპლაპებდა გახურებულს თანაქას და წვიმა კი არ გვეღირსა. თურმე, წარმოიდგინეთ, „მზზროს“ ერთი ნომერი გამოსულა ჩვენი მოქუხარი პუბლიცისტისა და ყველას „გრახად“ სჩვენებია. „მზზროს“ ჰქუხს და ღაღადებს, ვითარცა იუპიტერი, წყნარად და წარბ-შეუხრელად, რომ ყოველიც და, ხალხს ისტორიულად ზრდის, წინააღმდეგ, წადილი მისი შეფერხებისა სრულიად უნაყოფო წყლის ნაყვანაო, რად სწუხხართ ხალხის მომხრენო და მოკეთენო, ყოველ ნაირ შეფერხებაზედ, როდესაც ის შეფერხება დროებითი და მხოლოდ წარმავალიაო.

ჩვენ მეტი დაუდგრომელი და მოუთმენელი გვეგონა ბ-ნი ნიკოლაძე, როგორც საზოგადო მოღვაწე, და ახლა კი სრულიად ბრძენის-ტყავოსან

ნენი. თავჯდომარეს, ბ. მდინ წენს, ბერი უქადაგნია ვრცელწირო-მთაწრობის წინააღმდეგ დასრულწიროდენის, კაპიტალისა. მხურვალე მონაწილეობა მიუღია ბაასში აგრეთვე ამერიკის წარმომადგენელს, ქალს ლეკუნტს, საფრანგეთისას—ლუიზა მიშელს და სხვებს. სხვათა შორის დასწრებია კონგრესზე რუსის სოციალისტების წარმომადგენელი თ. პრაპოტკინი.

„გმრმანია.—პოზნანელი კორექსორდენცია სწერს გაზეთს „პორიადოკს“: „ამ დღეებში ნემეცების პოლიაკებმა ჩაიდინეს საშინელი დანაშაულობა, რომელიც თითქმის სახელმწიფო ლალატობად იქნება ჩათვლილი ნემეცებისაგან. წარმოიდგინეთ, თურმე რა მოხდა.

პოზნანის პოლიაკებს შეუდგენათ ადრესი თავიანთსაჭიროებაზედ და მიუთმევეა მთავრობისათვის, ვითხოვთ ერთობრივ გააუქ. ახლად შემოღებული ადმინისტრაციული სამძიმო და არა ჩვეულებრივი წესები და მოგვანიჭეთ უფრო მომეტებული უფლება საქმეებ მართვისა და საზოგადო ეროვნებითი უფლებანი, დაპირებულნი და აღთქმულნი ხალხთა-შორის ტრაკტატებით და პრუსისის კაროლებისაგანაო.

ადრესი შეუდგენია ხალხთა კრებას, რომელზედაც დასწერებია 1,500 კაცი ყოველ-გვარ წოდებისა. ადრესის შინაარსი ვერ ეპიტნავა თურმე ნემეცებს, მეტადრე ის ალაგი ადრესისა, სადაც ამბობენ, ა) რომ ნაციონალური ჩვენი უფლებანი მოგვენიჭოს ჩვენაო, რადგან გვეკუთვნის, როგორც ისტორიულს ეროვნობას, ცნობილი კულტურის მქონეს და „როგორც არა უსუსუნს წევრს სლავიანების დიდი ოჯახისა“ და ბ), ადრესის ბოლო, სადაც მოხსენებულია: „მაღადაცანებითი ზომებით და სმვალებით - შეუძლებელია განეკუდგეს და მასთან შეთვისებულ იქმნას ასე ძლიერი და დიდ-ძალი

კაცად გამოგვეცხადა. ისტორიაში ხანი ითვლება საუკუნოებით და ძალიან მოთმინებას გვიქადაგებს იგივე ბრძენის ტყავოსანი.

ღიდება შენს მოთმინებასა, ფერიცვალეებულო!! მოვითმენთ მაშ, მოწერილობისა მებრ, და მივეცემით გაზაფხულის განცხრომას. მაღლობა ღმერთს, ადვილი შესასრულებელია ამ საზაფხულო დროში მათი სურვილის აღსრულება.

პარგი კია ღეთის წინაშე უკუნითი ჭეშმარიტების და სახარების სიტყვის დაღადება, ვისაც, ენის გარდა, ლოყებიცა ჰქაევა.

X

რაზე ვიხრუნოთ მაშ ამ განსვენების დროს? სრული განცხრომა სათაკილოა და სენიიდისი ღრღნას და ჯენჯენას დაგვიწყებს. ზოგადი ხელმწიფებითი კითხვები, — ჩვენი საქმე არ



კრავანობა, რაგონად ანის ჰაღინ-  
კების სლავიანური კრავანება.“

აი ეს სიტყვებია, რომელთაც გაუ-  
ჯავრებია კეთილშობილინი ძენი ბერ-  
მანისა და ჰეიქრობენ ძვირად დაუს-  
ვან ეს გაბედულობა პოზნანის პო-  
ლიაკებს.

**თელავის სასულ. სასწავლებლი \***

აწ რომ ავი ან ვაძაგო,  
კარგი რაგონ უნდა ვაქო?  
ავს თუ ავი ან გუწოდო,  
კარგ სასქელად რა დავარქო?

ღვთო გურამიშვილი.

როგორც უნდა ყოფილიყო ეს  
„საკეთილ-შობილო სასწავლებელი“,  
მანც ერთად ერთი იყო საქართვე-  
ლოში და მით კმაყოფილი უნდა  
გამხდარიყო ჩიენი სხვა-და-სხვა წოდე-  
ბის საზოგადოება. რადგან სასულიერო  
წოდებას, ქართული სემინარიე-  
ბისა და სხვა სკოლების გაუქმების  
შემდეგ, საკუთარი სასწავლებელი აღარ  
იყო, ძველის მთავარ-მმართველმა  
ბ-ნმა სიციანოვმა დააწერა საკეთილ-  
შობილო სასწავლებელმა 1805 წ. ათი  
ადგილი სამდგელათა შვილებისთვის.  
სიციანოვის ხელში სასწავლებლის  
საქმე კარგად წავიდა, რადგან ამან  
მიაქცია ყურადღება ადგილობრივ  
ზარებს. ღირეკტორად დანიშნა ქარ-  
თველი, რომელმაც იცოდა რუსული  
ენაც, სახელდობრ მღვდელი პეტრიევი,  
რომელსაც მიეღო სწავლა ასტრახანის  
სასულიერო სემინარიაში, მღვდლის  
შვილები გაანთავისუფლა უცხო ენე-  
ბის სწავლისაგან და სხვ. სიციანოვი  
სწერს ამის თაობაზედ ღირეკ-  
ტორს პეტრიევს შემდგომს: „მე ვხე-  
დავ, რომ მღვდლის შვილებს თქვენ  
ასწავლით ნემეცურ ენას, ვითომც  
ამხადებდეთ მათ სამოქალაქო წოდე-  
ბისთვის, როგორც მრავალნი სამღვ-  
დლონი, საუბედუროდ ჩვენის ეკლე-  
სიისა სწავლობენ საგნებს არა დასა-  
ტკობად გულისა, არამედ უფრო  
სამპარტაენოდ თვისის ცოდნითა, ამის-

\*) ის. „ღრეკა“ № 151.

არის და არც ხელი მიგვიწვდება; ზე-  
მოთაც ტყუილად ღობე-ყორს მი-  
ვაწყდით, როგორც მოგვხსენებთ  
ფელეტონისტის ქაილა ენის ამბავი,  
მეტადრე როცა ბუზები ისე საშინ-  
ლად იკბინებიან, რომ დავიღუფეს  
სრულიად ტანი.

მართლა, კინაღამ დამავიწყდა. ჩვენ  
მოველით ენკენისთვიდამ მეხუთე არ-  
ხელოვანი კრებას. ჩვენ გვეწვევიან  
რამდენიმე გამოჩენილი სწავლულნი  
და რუსეთის მეცნიერნი არხელო-  
ვანნი და ორიენტალისტები, რო-  
მელთა უმრავლესობას სიბერე-სიძვე-  
ლის ბეჭედი, როგორც დიპლომი  
სწავლულობისა, უსათუოდ ექმნებათ  
დასმული. იგინი განიხილავენ ბერს  
საყურადღებო კითხვებს ჩვენი ძრიელ  
ძველებური დროიდან. ამათ მივაპყრად  
ყური, ვიდრე ცდა და მოთმინება წი-  
ლად გვხდომია.

თვის მოგწერთ თქვენ, რომ მდგდის  
შვილებს ან სსწავლათ ნემეცური ენა  
(Пам. вн. стр. 8).

„საკეთილშობილო სასწავლებლის“  
წყობილობა, თუმცა გამოჭრილი არ  
იყო ჩვენი საზოგადოების ტანზედ,  
მაგრამ ადგილობრივი ხასიათი მანც  
ეტყობოდა. საზოგადოების თანაგრძ-  
ნობამაც იმატა შვილების მიცემით  
სასწავლებელში და მთავრობამაც ამის  
მიხედულობით ჩქარ-ჩქარა მოუმატა  
მოსწავლეთა რიცხვს სასწავლებელ-  
ში.

წინაპირველად (1802 წ.) როგორ-  
ცა ესტქით 25 მოსწავლის ადგილი  
იყო, 1804 წელს — 50-სა, 1806  
წელს — მთავარ-მმართველმა გუდო-  
ვიძმა განაღდა 75-თად.

1810 წ. მთავარ-მმართველმა ტარ-  
მასოვმა თუმცა წარადგინა ახალი მო-  
საზრება „საკეთილ-შობილო სასწავ-  
ლებლის“ ცვლილების შესახებ, რო-  
მელმაც მოსწავლეთა რიცხვი იყო  
დანიშნული 200, მაგრამ ეს მოსაზრე-  
ბა მხოლოდ 1819 წელს აღსრულდა,  
ისიც დიდის ცვლილებით. სასულიერო  
სასწავლებლებს კი მოულოდნე-  
ლი სიკეთე მოადგათ კარზედ. მთა-  
ვარ-მმართველის მრმალის დროს,  
სახელდობრ 1 ოკტომბერს 1817 წ.  
გახსნა მბილისში სასულიერო სემი-  
ნარია და ამას გარდა ოთხი სასულიერო  
სასწავლებელი: მბილისისა, ბორი-  
სა, მელაისა და სილნალისა. მსრეთი  
ერთბაში გახსნა ხუთის სასულიერო  
სასწავლებლისა ერთ გუბერნიაში,  
ისიც 1817 წ., დიდ საკვირველად უნ-  
და მიგვანდეს ჩვენი დროს (1881  
წლის) მიხედულობით, როდესაც  
შოვლად-სამღვდლო იოანე იკმ აღძრა  
დაკეტა მელაის სასულიერო სასწავ-  
ლებლისა, რომელიც ერთად-ერთი  
სასულიერო სასწავლებელია ოთხ  
მაზრაში. მგონებ ამდენი ადგილების  
მცხოვრებთათვის მომეტებული არ  
იყოს ერთად-ერთი სასულიერო სას-  
წავლებელი, დაფუძნებული წარსუ-  
ლი საუკუნის პირველ ნახევარში.  
პრამც თუ მეტა, არამედ კიდევაც

თეატრი გვაქვს, მაგრამ არეულ-  
დარეული. მისი საქმეები და, საზოგა-  
დოთ მსგელობა, აწვილ-დაწვილად  
მიდის. შემოდგომიდან მის დამყარებას  
უნდა შეუდგეთ, უნდა ავიყვანოთ იმ  
ხარისხამდე, რომ მას დაერქვას სახე-  
ლი ჩვენი ნაციონალური, ეროვნო-  
ბით თეატრისა. როდის მოხდება ეს?  
— მაშინ როდესაც შესდგება (სხვათა  
პირობათა გარდა) რეპერტუარი ორი-  
გინარული პიესებისა, ჩვენი თანა-  
მედროვე და ისტორიული ცხოვრე-  
ბიდან; მეტადრე დიდი მნიშვნელობა  
ექმნება ისტორიული შინაარსის რე-  
პერტუარს. მტკიცედ უნდა დაადგეს  
ჩვენი თეატრი დამოუკიდებლობის,  
თვითმყოფელობის გზას, თუ მას სი-  
ცოცხლე არ მოსჭარბებია, თუ მას  
არ უნდა სრულიად გაქარწყლდეს,  
მოისპოს, აღმოიფხვრას, ან და ილო-  
ლილოს უგემურად, უმადურად, იც-

საჭირო იქნებოდა მომატება. 1817  
თეოფილაქტემ დაარსა ოთხი სასუ-  
ლიერო სასწავლებელი და იშუამ-  
დგომლა საგნების და ენების შემცი-  
რება ადგილობრივი გარემოებათა  
მიხედულობით; იმას ეტყობა დაახ-  
ლოებით, ზედმიწევნით, გაცნობა  
თავის სამწყსოს გარემოებათა და სა-  
ჭიროებათა; შემწობას აძლევს მშო-  
ბელთ შვილების სწავლა-აღზრდაში  
და კლასების დაწესებაში საეკლესიო  
ხაზინიდან, საიდანაც უნდა გასინჯოთ  
თეოფილაქტეს განკარგულება და  
მოქმედება დარწმუნდებით რომ იმან,  
ოთხი წლის თავის ექსარხოსობაში  
დიდი სამსახური გაუწია საქართველოს  
სასულიერობას.

ჩვენი ახალი ექსარხოსისათვის კი  
ჯერ საქართველო უცნობი ქვეყანაა;  
იმისი სამსახური ჩვენი ქვეყნისა ჯერ  
კიდევ წინ არის. სასწავლებლების  
შესახებ ბევრი რამ ცვლილებაა საჭი-  
რო და ყველა ეს ცვლილება ელის  
ექსარხოსის კეთილ-მნებებლობას. ჯერ  
დრომდის, რუსეთის სასწავლებლებთ  
პროგრამა ისე მთლად და ხელ  
უხებლათ სუფევს ჩვენში; გარდა ამი-  
სა რუსეთის სასწავლებლების წინა-  
აღმდეგ ჩვენში მოგმატა სამშობლოს  
ქართული ენა, ასე რომ ჩვენებს  
თვით რუსებზედ ერთი მეტი საგანი  
მოსდით და სხვა საგნების პროგრამ-  
მებიც შეუცვლელია, ანუ თანასწო-  
რე რუსეთის სასწავლებელთან. ეს  
კიდევ არაფერი. რაც იყო, ისეც შეი-  
ცვალა. 1879 წლამდის რუსული ენის  
გაკვეთილი თერთმეტი იყო კვირაში  
სასწავლებლის ოთხივე კლასში. შო-  
ვლად სამღვდლო იოანე იკმ ექვსი  
გაკვეთილი მოამატებინა და განაღდა  
17 გაკვეთილი, აი რა ნაირათ: 1869  
წლამდის თითო გაკვეთილის დროდ  
იყო გადაწყვეტილი ერთი საათი და ერთ  
რუში (1/4 საათისა). იოანე იკმ ითხო-  
ვა, რომ გაკვეთილი თითო საათიდან  
შესდგებოდეს. რადგან დღემდე, წესდე-  
ბით, ოთხი გაკვეთილი უნდა ყოფი-  
ლიყო, მაშასადამე ამისთანა შემოკ-  
ლებით დღემდე თითო საათი თავის-  
უფალი დრო რჩებოდა; ეს თითო

ვალოს რეჟისორები და გაიხრწნას  
ყოველ-მხრივ, ვითარცა გვამი სნეუ-  
ლი, მცენარე ნაზი გადმოზარგილი  
უცხო თემიდან, რომელსაც ფეხი ვერ  
მოუდგამს ჩვენი ცხოვრების ნიადაგ-  
ზე. ჩვენი სცენიდან, რაც შეიძლება  
მკაცრად უნდა განიღვენოს უნიჭოდ  
გადმოკეთებული პიესები, თარგმანე-  
ბიც თვით ნიჭიერ დრამატიულ მწე-  
რალთა, რომელნიც ნამდვილს თა-  
ვის ხალხსა ხატავენ თაიანთ ნა-  
წერებში. ამ ნაირი მწერალნი არიან,  
მაგალითად: მსტროესკი და ბოგო-  
ლი რუსეთში, რომელთა პიესებით  
არა ერთ-ჯერ და ორ-ჯერ გავვიმას-  
პინდლდენ ჩვენი თეატრის გამგენი.  
რად უნდა ითქვას უნიჭო მწერლე-  
ბის უნიჭოდ გადმოკეთებულის პიესებ-  
ზე.  
პიესების გადმოკეთების შესახებ.  
თეატრის მოყვარენი უნდა გავხა-

საათი დღემდე, და მაშასადამე ექვსი  
საათი კვირაში იოანე იკმ მოამატა  
ლა სინოდის წინაშე მიემატოს რუ-  
სული ენის გაკვეთილებს, რომელზე-  
დაც მიიღო თანხმობა, და ესრედ  
ნაცვლად უწინდელის თერთმეტს  
გაკვეთილისა, ეხლა არის ჩვიდმეტი  
გაკვეთილი რუსულის ენისა. ეს არის  
ერთად-ერთი ცვლილება სასწავლებ-  
ლის საგნების პროგრამებისა. რა  
ნაირად არის მოსაწონი ესრეთი შუა-  
მდგომლობად ცვლილება? თუმცა  
რუსული ენის გაკვეთილებს მოგმატა  
ექვსი, მაგრამ ნაცვლად ამისა ეს ექვსი  
გაკვეთილის დრო დააკლდა სხვა საგ-  
ნების გაკვეთილებს, მაშასადამე იმ  
საგნების შესწავლა უწინდებულად  
ძნელიდა იქმნება, დროს შემცირების  
საბუთით. თუ სწავლის დრო შეამ-  
ცირეს, შესასწავლი საგანიც უნდა  
შემცირებინათ, რადგან მცირე დროს  
მცირე საქმის გაკეთება შეიძლება,  
დიდ დროს-დიდის საქმისა. საქმე კი  
ხელ-უხლებელი დასტოვეს და დრო-  
კი შეამცირეს, ასე რომ, რასაც რუ-  
სეთში ყმაწვილი სწავლობს ერთ სა-  
ათში და ერთ რუბში (1/4), ისევე  
ქართველმა ყმაწვილმა უნდა შეის-  
წავლოს მხოლოდ ერთ საათში. აქე-  
დამ ნათლად სჩანს, რომ ჩვენებს მე-  
ტი ეთხოვებთ ყველა საგნიდან, და  
რუსული ენაც რომ მეტი საგანია, უც-  
ხო, და რომ ეს ენაც სამშობლო ენა-  
სავით უნდა შეისწავლონ ჩვენებმა,  
ეს ხომ, რაღა თქმა უნდა, მეტია და  
მეტია.

... 1880 წლ. მელაეში სამღვდ-  
ლოთ კრებამ შესწირა საჭირო ფული  
სამი ან ოთხი ოთახის გასაკეთებლად  
კლასებისთვის, ვიდრე ახალი სახლები  
გაკეთდებოდა. ამით სამღვდლოებს  
უნდოდა სახლების ქირიდან განთა-  
ვისუფლება, რომელიც საჭიროა მო-  
მავლის სექტემბრიდან; ესენი ფიქ-  
რობდნენ ჩვენთვის რომ ოთახები  
გაუაკეთოთ, არც ქირალა დაგვენარჯე-  
ბა და ოთახებიც საბოლოოდ შე-  
გვრჩება. რასაკვირველია, ეს მოსაზ-  
როთ და ერთი კი ამბავი ვუძღვნათ:  
ამ დღეებში დაათვა თ. ბ. მრისთავ-  
მა პიესა მიკტორიან სარდუსი „Pat-  
rie“, რომელიც მას შესანიშნავის  
მოხერხებით გადმოუკეთებია ქარ-  
თულ ენაზედ, შეუფარდება ქართუ-  
ლი ცხოვრების ყოველ ნაირ პირო-  
ბათათვის და მოქმედება და დრო  
აულია საქართველოში შაჰ-აბაზის შე-  
მოსვეის ხანადამ მე-XVII საუკუნის  
დაწყებაში. თვით წაიკითხა ხელ-ნაწე-  
რი, ჩვენ მოვისმინეთ და დარწმუნე-  
ბული ვართ, რომ ასე ხელოვნურად  
დაწერილი ფრანციულად პიესა, ხე-  
ლოვნურადვე სრულიად გადმოქარ-  
თულებული, უმნიშვნელოდ არ ჩაი-  
ლის ჩვენი თეატრის საქმისათვის.  
მოვიცდით მოთმინებით და ენა-  
ხავთ...



რება საფუძვლიანი იყო, მაგრამ ნოემბრიდან დაწყებული აქამომდე ეს სამღვდლოთ ყრილობის განჩინება არ ელირსა დამტკიცებას.

(გაგზავლება)

### განცხადებანი

შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი ობილისის გუბერნიის თავდაზნაურთა საზოგადოების განმგებელი კამიტეტი ამით აცხადებს, რომ ამ 1881 წ. მომავლის ენკენისთვის ობილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, რომელიც აქუილამ გადატანილ იქმნება სოლოლაკზედ, გაიხსნება ოცდაათამდისინ ადგილი თვის ხარჯით სკოლაში მცხოვრებთ ბავშვებისათვის, ე. ი. ოც თუთნიანი პანსიონერებისთვის.

მსურველთ შეუძლიანთ ვამოგზავნონ თხოვნები ენკენისთვის პირველადის სკოლის ეხლანდელს სადგომში (въ Куки, на второй Кирпичной улицъ домъ н. Тахтаева), ხოლო ენკენისთვის—სოლოლაკზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ვადასწერივ, მთისაკენ. სადგომის ქუჩაზედ, ბაისოლოლოვის № 19-იან სახლში, სადაც ამ დროს იქმნება სკოლა და მისი გამგეობა.

### პანტონრა

რუსების და კავკასიისა  
მაცნობებთ პატივ-ცემულ საზოგადოებას, რომ 1880 წლის ნოემბრის 20 დღიდან ვაღებულ ჩვენ მიერ მ. ფოტოს კამერის პანტონრაში ლუკა რუხაძის მალაზიაშიდევ ვღებულობთ შრომა მსურველის მოთხოვნისთვის ყოველ გვარ საქონლის ვაგზავნ-გამოგზავნის, ყიდვის და ვაყიდვისა ნაკლები კამისით.

კამისისის საქმეებს აწარმოებს მონსიონი დაპირისპირებაში, რომლისგანაც მსურველს შეუძლია ყოველი ანგარიშის შეტყობა.

(3-1) ლ. რუსაძე.

**ახლად მიღებულია**  
ინგლისის მალაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისე იღება: პარუსინა არ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კა., პანდოსები 5 კა. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25-1)

**გამასახლებლის კანსიდან**  
ზრიგოლ ბარამოვისა და კომპ., ქუთაისში ამით ცხადდება, რომელ ორშაფათს 10-ს აგვისტოს ამ წლის დიდის 10 საათიდან, განისყიდება ამ კასის წინ, ქაღაჭის აუგვიონისტების სელოთ ის გიროები, რომელნიც არ დაუსხნათ კასიდან ვადის ორისთვის ალგოტის შემდეგ: ოქროსი, ვერცხლისა ბრლიანისა და სხვა ნივთები. (7-2)

**ლონდონის მალაზია** გამეგრეული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასახელებით შირველი შოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითურ: თაფუბისა, რეკლავებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკლადისა, კაკაოსი, დუხებისა, სპონისა, შოკ კებისა, ცხვირ-სასოცისა, ქაღაჭისა, კარანდაშებისა, კაღებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრეული კლეშინი წყითისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურაგებს გასახელებად კანფეტებისა და ბატკონისა და კამპ. მურებისა, აგრეთვე ხუჭებისა და წინდებისა ნოტინგამიდან. ნამდვილი ქაგანსა ვაგები. (100-98)

**ინგლისის მალაზიაში**  
ანგლისური გალავრეისი  
(Maison de confiance)  
შეადრეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველაგან  
— — 1 მ. 10 კაბ. — 1 მ. 40 კაბ.  
— — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაბ.  
— — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაბ.  
— — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაბ.  
— — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაბ.  
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.  
ჩაის წინა-უქაღაჭისა, სხვაგან ვიქაღაჭით. (100-17)

**ინგლისის მალაზიაში**  
მოსახურაში 4 მანეთ, ნასოსებო 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატისანი კრესლო 10 მ. დაწვებული, ფილტრები 4 მ., ჩინისისთავების შესახსავი 50 კაბ., სრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაბ. და 30 კაბ., ლეზიონები და პასტილა თამაქის მხმარებლებისთვის 60 კაბ. ინგლისური ვანები და სხვა. (20-19)

ბრიტუროვის წიგნის მალაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნი-სიანთან (ოკრუტის სულის ქვემოთ) ისე იღება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:  
წითელი ფარანი, ფასი 15 კ.  
ხატურა — — — 10 კ.

**გამოვიდა და ისე იღება**  
ტრეტალ-წიგნის მალაზიაში ბუფავარზე და გრეჭუროვის მალაზიაში გუკის სი-დის ყურზე, ბადის პირდაპირ:  
ალექსანდრე  
**ჭავჭავაძის**  
ლექსები  
ნაწილი პირველი.  
ფასი ექვსი რუბლი.  
იქვე ისე იღება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.  
ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.  
მართული ანდაზები. ფასი ორი რუბლი.  
მეფე ლირი, ტრაველია შექსპირისა, თარგმნილი ინანე მაჩაბლისა და ილია შავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.  
ზრიგოლ მრბელიანის ლექსები. ფასი ექვსი რუბლი.  
ღვითიანი (ბურამიანი), თქმული ღვით ბურამის შვილისა. ფასი ერთი მანეთი.  
პაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია შავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი. (5-4)


**ლონდონის მალაზია**  
მრევის მოედანზე № 2, კომერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ძიანტის და ჩინეთის პირველი მოწვევა ჩაის გასაყიდველად და ასუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რეკლავების-

სა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდონსი) კრავატების, დანა-ჩაქრების, სანაიე, კიტების, შოკოლადის, სკანის, კრემის, ლი სუკრის ერბო, სასურნებლის, საპონის, ცხვირ-სასოცების, შოტოკი წინდების, ჩულკების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100-98)

**მიუხედავად** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევე იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინისვი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი ვაისაჟი 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრეულ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქალაღლოთ.

ინგლისური რეკლავები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მალაზიაში.** სააგენტო ბანსის უნაგრების გასახელებათ, ჯონსის კლიტებისა, შოკლადისა და კესტრატისა კაკაო ფრანს რომელთაც დაიმასურეს ზარების მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არმატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაგებები მოიგებენ, თუ იყიდათ ბლომით ინგლისის მალაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხელებების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100-80)

### ინგლისის მალაზიაში



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი რუბლი და 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაბ.  
აქვე ისე იღება ჩინის ზომად თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სრატკები თავის ტკავილის მოსახზობლად, ტრეტალის სპონი, დუხები და სხვ (150-150)

**მოსახურაში** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეც სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატისანი კრესლო 10 მან. დაწვებული, ფილტრები 4 მან. ჩინისისთავების შესახსავი 50 კაბ., სრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაბ. თითო, ინგლისური ვანები და სხვ. **ინგლისის მალაზიაში.**

10,000 რუბლი ქაღაჭის წინდები 25 კაბ. დაწვებული 75 კაბ.-დისინ, 10,000 რუბლ. კარის წინდები 35 კაბ. 1 მან.-დისინ, 7,000 ზანდოსები 5 კაბ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი პომპუი 1 მ.—1 მან. და 30 კაბ.-დისინ, 800 არშ. ზარუსინა 40 კაბ.—1 მ.-დისინ, 300 რეკლავები 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 აბოში ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაბ., რკინის კაღები ყველა გვარ სელისათვის. (15-15)

## ამერიკელი კბილის ექიმი დოქტორი ი. ა. პალტერი

რომელიც დიდს მთავრის ღონის—იქით არმიის მთავრისა განკარგულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავთომყოფობის პონსულტანტათ და მივიღე ორი წარჩინებული დიპლომა, მოვსულვარ ობილისში და ვიღებ კბილით ავთომყოფების კბილების ჩასამელად რბილ საგებზე, უპრიყნოთ, რომელსაც არა ვრაც გამოსადგერათ ვინაიდან პრუჟინა უშლის რივიანათ საქმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდის ხმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურგში, და მოსკოვში და არა სადმე პროვინციაში, არაღის ვურჩევ იხმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კეშირები სცვეთავენ კბილებს, რაიცა უეჭველია, შენიშნული ექნებათ იმათ, ვისაც ისინი უხმარია.

პბილების მოგლეჯას არ ვურჩევ, ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა, ი.უ გინდ ერთისაც, ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატინასი ანუ მილანქრის პლომბით ვაკეთება; მაქვს ახალი ჩემგან მოგონილი საშუალება რომლითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშუალება არის დამტკიცებული მედიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად აღმოჩენილი შეზავებულ კბილებისა და პლომბის-როვები შეუძლიანთ ნახონ ჩემს კაბინეტში. შოველს საქმეს, ვისანებ კბილების ავთომყოფობისა, ვასრულებ 24 საათში:

ვიღებ ავთომყოფებს დილის ათი საათიდან საღამოს ექვს საათამდინ. მსცხოვრებ ბალავინსკის პროსპექტზე, შოველის სახლებში, საცა იყოფება მესტლის ფატრაგრაფია ბ. მიჩოვიის სახლში, საცა იყო კარტინის ვისტაჟა. შესავალი ბალავინსკის პროსპექტიდან. (5-1)